ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ვალერიან ადვაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვალერიან სერგოს ძე ადვაძე.**

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ვალერიან ადვაძემ მშობლიური ქვეყნისა და ერის უანგარო სამსახურს და ახალგაზრდობის აღზრდას შეალია.

პროფესორი ვალერიან ადვაძე დაიბადა 1931 წლის 17 თებერვალს ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენაში. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1953 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

იგი იყო 1958-1993 წწ. თსუ პოლიტეკონომიის კათედრის ასისტენტი, სახალხო მეურნეობისა და ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი (1961-1971), პროფესორი (1971 წლიდან), გამგე (1978-99 წლებში). საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1973-88), დირექტორი (1988-1993). 1989-1991 წწ. ეროვნული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი. 1992 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკის საკითხების კომისიის თავმჯდომარე (1992-93), რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (1993-1995). 1995-1999 წწ. საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ-ის ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიაში, კოლეგიის წევრი. 1999-2005 წლებში სრულიად რუსეთის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის ისტორიის კათედრის გამგე.

პროფესორი ვალერიან ადვაძე არის 200-მდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

პროფესორი ვალერიან ადვაძე სამეცნიერო მოღვაწეობას უხამებდა წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას. მრავალი წლის განმავლობაში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, სადისერტაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, პიროვნებისა და კოლეგის სხეული სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.